ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 19

ქ. თბილისი

29.11.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი

3. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

4. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

5. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

6. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

7. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ნერგები

2. შპს სასწავლო ცენტრი მერმისი

ლალი აბაშიძე - დირექტორი

ნათელა ჯანელიძე - დირექტორის მოადგილე

3. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ პლიუსი

ო. პისჩანენკო - დირექტორი

ელეონორა ნინიძე - იურისტი

4. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა

დარეჯან ბეგიაშვილი - დირექტორი

ნინო ხვედელიძე - ხარისხის მენეჯერი

გიორგი ბერიძე - პროფ. პროგრამების ხელმძღვანელი

კახა ხეხელაშვილი - სანტექნიკოსი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

სერგო დურგლიშვილი

მაკა ნადარეიშვილი

ნინო ფეტვიაშვილი

ლიანა კობესაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 16:30 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ნერგებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს სასწავლო ცენტრ მერმისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოს მიმართა, რომ შპს ნერგებმა ცენტრს მიმართა წერილით შპს ნერგებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა გადაეტანათ შემდეგ სხდომამდე სკოლის წარმომადგენლის ავადმყოფობის გამო. ასევე ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები განხილულიყო პირველ საკითხად სკოლის წარმომადგენლების თხოვნის საფუძველზე. ასევე სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისთვის პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში მეორე საკითხად განხილულიყო სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №110 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხი და დაზუსტდეს სკოლის მიერ განხორციელებული ზეინკალ-სანტექნიკოსის და დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროგრამების კრედიტების რაოდენობა. შესაბამისად, შპს სასწავლო ცენტრ მერმისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა გადაეტანათ მესამე საკითხად, ხოლო შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა - მეოთხე საკითხად.

საბჭოს დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობებს და დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. შპს სასწავლო ცენტრ მერმისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

1. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფეტვიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის მიზანი იყო დადგენილიყო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის დებულების 30[2] მე-3 პუნქტის მიხედვით წარმოდგენილი მოდიფიცირებული დაბალი ძაბვის ელექტრიკოსისა და ზეინკალ-სანტექნიკოსის პროგრამების შესაბამისობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებთან. დოკუმენტაციის შესწავლა ექსპერტების მიერ მოხდა ადგილზე,

ფეტვიაშვილმა გამოყო ხარვეზები და რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლინდა პროგრამების შესწავლის საფუძველზე.

ხარვეზები: ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის გათვალისწინებული 2 ზოგადი სავალდებულო მოდული „სამოქალაქო განათლება" – 2 კრედიტი და „რაოდენობრივი წიგნიერება" – 2 კრედიტი, ხოლო მოდულში „პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები" გათვალისწინებულია 1 კრედიტი,3 სავალდებულო კრედიტის ნაცვლად (მოდულის დასახელება უნდა იყოს „ინტერპერსონალური კომუნიკაცია"). ამ ხარვეზებიდან გამომდინარე პროგრამის მოცულობა უნდა შეადგენდეს 89 კრედიტს და, შესაბამისად არაქართულენოვანი

სტუდენტებისთვის 104 კრედიტს, რაც შეცვლის პროგრამის ხანგრძლივობასაც. 6 კრედიტი არ არის გათვალისწინებული არც წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში. 1.1. ქვესტანდარტში მითითებული ხარვეზიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამის „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის" სწავლის შედეგები არ შეესაბამება დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის ჩარჩო დოკუმენტებს (ჩარჩოს სარეგისტრაციო ნომერი - 07102-პ).

რეკომენდაციები: დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 1. მოდულში „ელექტრო დანადგარების და ქსელების მონტაჟი", სტანდარტულ ჩანაწერებში მტკიცებულებების ჩამონათვალში „ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულების" ნაცვლად წერია „ზეპირი და წერილობითი მტკიცებულება", ხოლო 3.7 პუნქტში მითითებულ შეფასების ინტრუმენტებში „გამოკითხვის" შეფასების ინსტრუმენტად მითითებულია მხოლოდ ტესტი. 2. ამავე მოდულის მტკიცებულებების შეგროვების მიდგომებშიც აღნიშნულია, რომ ზეპირი და წერილობითი მტკიცებულებები გროვდება სასწავლო აუდიტორიებში, შეფასების მტკიცებულებების ნუსხა კი არ მოიცავს ზეპირ მტკიცებულებას. ასეთივე შეუსაბამობაა მოდულში „საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის მონტაჟი დარემონტი". 3. მოდულებში 3.5 პუნქტი არ არის ადაპტირებული, მოცემულია მინიმალური აღჭურვილობის ნორმატივი და არა აღჭურვილობის ჩამონათვალი.ზეინკალ - სანტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 1. მოდულში „სამოქალაქო განათლება", განხორციელების მიდგომები სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ ასახავს დაწესებულების კონკრეტულ ხედვას. ამავე მოდულის საათობრივ ბადეში არის გარკვეული უზუსტობები, კერძოდ საკონტაქტო საათების ჯამი უნდა იყოს 26, ნაცვლად 32- ისა, დამოუკიდებელი საათების- 21, ნაცვლად 12-ისა , ხოლო შეფასება -3, ნაცვლად 6 საათისა. 2. „გაცნობითი პრაქტიკა - ზეინკალ-სანტექნიკოსი", სტანდარტულ ჩანაწერებში მტკიცებულების ნაწილში, „ზეპირი ან/და წერილობითი" მტკიცებულება კორექტირებულია როგორც „ზეპირი და წერილობითი", შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალში მხოლოდ ტესტია მითითებული და არ გვხვდება ზეპირი მტკიცებულების შესაგროვებლად საჭირო შეფასების ინსტრუმენტი. ასევეთივე უზუსტობაა მოდულში: სამშენებლო ნახაზების კითხვა და სქემების შედგენა. 3. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია, რომ მოდული-საზეინკლო სამუშაოები სანტექნიკოსის საქმიანობაში იწყება წინაპირობა მოდულის - შრომის უსაფრთხოება და საწარმოო სანიტარია საზეინკლო საქმეში დასრულებისთანავე. რეკომენდებულია მათ შორის არსებობდეს დროის შუალედი სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობისთვის. 4. მოდულის „თბომომარაგება"

წინაპირობა მოდულია „შიდა წყალსადენი სისტემის მონტაჟი". სასწავლო გეგმაში აღნიშნული წინაპირობა არ არის დაცული. რეკომენდაცია, რომელიც ორივე პროგრამაში გასათვალისწინებელი: 1. საწარმოო პრაქტიკის მოდულში პუნქტი 3.2. არ არის ადაპტირებული. კერძოდ, წარმოდგენილია ზოგადი ჩანაწერი „მოდულის განხორციელება შესაძლებელია პრაქტიკის ობიექტზე. პრაქტიკის ობიექტი შესაძლოა იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებული საწარმო", რომელიც უნდა აკონკრეტებდეს დაწესებულებას, სადაც იგეგმება პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება. 2. სასურველია, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაშიც მიეთითოს საწარმოო პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ ინფორმაცია პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორების შესახებ.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ პროფესიული პროგრამის განხორციელება სიახლე იყო სკოლისთვის, პროცესში ისწავლეს ბევრი რამ, პროგრამის შედგენისას, ჩარჩო დოკუმენტის ძველი და ახალი ვერსიები შეაჯერეს და ისე ჰქონდათ წარმოდგენილი, თუმცა ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, ორივე პროგრამა განახლდა ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად და წარმოდგენილ იქნა ცენტრში არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ გაეცნო შეცვლილ ვერსიას, თუმცა რადგან ეს მოხდა ექსპერტთა მიერ საკითხის შესწავლის შემდეგ, მას არ ჰქონდა უფლება აესახა საბოლოო დასკვნაში, თუმცა ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განახლებულ პროგრამებში ექსპერტთა ყველა რეკომენდაცია ასახულია. დირექტორმა აღნიშნა, რომ რაკი რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება არ არსებობს, ძალიან დიდია მოთხოვნა ამ პროგრამებზე ახალგაზრდების მხრიდან, ყოველთვის მაღალი კონკურსია, ამ ეტაპზე უკვე გეგმავენ ახალი პროგრამების დამატებას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ მონიტორინგის საფუძველი ამ ეტაპზე იყო სკოლის მიერ წარმოდგენილი მოდიფიცირებული პროგრამები, ექსპერტებმა ადგილზე შეისწავლეს გადმოგზავნილი პროგრამების შესაბამისობა მოქმედ ჩარჩო დოკუმენტებთან და ასახეს დასკვნაში ხარვეზები და რეკომენდაციები. თუმცა სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა გჰანახლებული , სწორად შედგენილი პროგრამა.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა ია გიგიბერიამ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დაბა აგარის სკოლა ერთადერთი საჯარო სკოლაა საქართველოში, სადაც პროფესიული პროგრამები ხორციელდება,

სკოლას პროფესიული პროგრამებისთვის საუკეთესო აღჭურვილობა აქვს, რომლის შეძენა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში განხორციელდა, პარტნიორი კომპანიაა აგარის შაქრის ქარხანა, რომელსაც მათი მომზადებული კადრები სჭირდება და სხვა სპეციალისტებზეც აქვს მოთხოვნა. სკოლა სარგებლობს ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის კონსულტანტების მომსახურებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად აისახა სკოლის ფუნქციონირებაზე პროფესიული პროგრამებისთვის შექმნილი მატერიალური აღჭურვილობა, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ლაბორატორიებს იყენებენ ფიზიკის სწავლებისას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და ექსპერტებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, მათ განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 240890755) პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ' ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №110 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საკითხი დააყენა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ რაკი საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 240890755) პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით, საჭიროა საბჭომ ასევე განიხილოს ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე ზეინკალ-სანტექნიკოსისა და დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის პროგრამების კრედიტების ცვლილების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №110 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ' ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №110 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1. „სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 240890755) მიენიჭოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება“

დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ზეინკალ-სანტექნიკოსი (1)	მესამე	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040676)	80	95	ქართული	22	ქარელის მუნიციპალიტეტი, დაბა აგარა, რუსთაველის ქ. №8
2	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი (1)	მესამე	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში (040566)	89	104	ქართული	20	ქარელის მუნიციპალიტეტი, დაბა აგარა, რუსთაველის ქ. №8

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

3. შპს სასწავლო ცენტრ - მერმისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, სერგო დურგლიშვილმა და მაკა ნადარეიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ სერგო დურგლიშვილის განცხადებით სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 02.11.2018 წლის N 980 ბრძანების საფუძველზე შპს სასწავლო ცენტრ მერმისში განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი. ექსპერტის თქმით ვიზიტი დაემთხვა დროს, როცა სკოლამ დაასრულა საცურაო აუზის მშენებლობა.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება, რადგან ბუღალტერი გამოცხადდა მხოლოდ ვიზიტის ბოლო დღეს და განაცხადა, რომ გადაუდებელი საქმეები ჰქონდა და კიდევ 2 დღე ვერ შეძლებდა დოკუმენტაციის წარმოდგენას.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ ვერ შეძლო სკოლამ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლაში მიმდინარე რემონტის დროს მათ შეინახეს სხვადასხვა დოკუმენტაცია ერთად და ბუღალტერის გარეშე გაუჭირდებოდათ საჭირო დოკუმენტაციის ექსპერტებისთვის წარმოდგენა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლამ შემდგომში ცენტრში გამდოაგზავნა ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ასლები, თუმცა საჭირო იყო დედნების წარმოდგენა. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას თან ჰქონდა წამოღებული დედნები. საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ დოკუმენტაციის შესწავლა დიდ დროსთან იყო დაკავშირებული და აღნიშნული დოკუმენტაცია სკოლას უნდა წარმოედგინა ვიზიტის პერიოდში ექსპერტებისთვის და არა საბჭოს წევრებისთვის.

ექსპერტ სერგო დურგლიშვილის განხცადებით ახალ შენობაში არ იყო არც ევაკუაციის გეგმები, არც ცეხლმაქრები. სკოლის დირექციის განმარტებით მიმდინარეობდა მოლაპარაკება სკოლასა და იმერეთის სახანძრო დაცვის სამსახურთან ახალ შენობაში ცეცხვლმაქრებისა და ევაკუაციის გეგმების დასამზადებლად. ასევე გასათვალისწინებელი იყო, რომ ვიზიტის პერიოდში ახალი შენობით მოსწავლეები არ სარგებლობდნენ.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, სკოლამ მოაგვარა ზემოთ აღნიშნული პრობლემა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია თან ჰქონდათ წამოღებული.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დასაწყისში სკოლაში ირიცხებოდა 177 მოსწავლე. ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ მოსწავლეთა რაოდენობა სიის მიხედვით საკლასო ჟურნალებში და სკამებისა და მერხების რაოდენობა საკლასო ოთახებში განსხვავდებოდა. სიით მოსწავლეთა რაოდენობა იყო მეტი. დირექციის განმარტებით მოსწავლეთა ნაწილმა მიატოვა სწავლა და არ დადიოდნენ სკოლაში, არ იხდიდნენ გადასახადს. ნაწილი მოსწავლების არ იყო საქართველოში. ვიზიტის პერიოდში მოსწავლეთა ბაზიდან მშობლებთან შეთანხმებით ამოიღეს 27 მოსწავლე საშუალო საფეხურიდან. ვიზიტის დასრულების მომენტში სკოლაში, მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით ირიცხებოდა 150 მოსწავლე, მათ შორის 14 მოსწავლის მოთხოვნა იყო სკოლიდან წასვლაზე. დირექცია არ გამორიცხავდა, რომ ეს რაოდენობა გაიზრდებოდა, რადგან სკოლა ელოდებოდა 90 დღიანი ვადის გასვლას მოსწავლეების ამოსარიცხად.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს ჰკითხა, დაინტერესდა თუ არა იმ ბავშვების ბედით, რომლებიც არ დადიოდნენ სკოლაში. სკოლის წარმომადგენელმა განაცხდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა დადიოდა საჯარო სკოლაში საბუთების გარეშე, რაც ირკვეოდა ზოგიერთ მშობელთან გასაუბრებით.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ საეჭვოდ მიიჩნია აღნიშნული მოსწავლეების საჭირო დოკუმენტაციის გარეშე საჯარო სკოლებში სიარული და სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ ისინი აუცილებლად უნდა დაინტერესებულიყვნენ მოსწავლეების ბედით, რადგან შეიძლებოდა მშობლების მხრიდან ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის და განათლების შესახებ კანონის შესახებ ის მუხლები, რომელთა საფუძველზეც დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულო იყო მოსწავლეებისთვის, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში სკოლა ვალდებული იყო ეცნობებინა შესაბამისი სასმსახურებისთვის.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ მოსწავლეებთან დაკავშირებული საკითხები აუცილებლად მოითხოვდა მეტ ყურადღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შეთანხმდა სკოლისთვის მიეცათ 60 დღიანი ვადა ხარვეზების აღმოსაფხვრელად და დოკუმენტაციის სრულად წარმოსადგენად.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო ცენტრ მერმისის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სასწავლო ცენტრ - მერმისის (ს/კ:212702912) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ფეტვიაშვილმა და ლიანა კობესაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტმა (ს/კ 204521375), შენობის ავარიული მდგომარეობის გამო, რამაც საფრთხე შეუქმნა მოსწავლეთა და დასაქმებულთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, 2018 წლის 1 ნოემბერს შეწყვიტა საქმიანობა მისამართზე თბილისი ნავთლუღის N8 და გადავიდა შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ-პლუსის შენობაში (ს/კ.406243514). სკოლამ ამის შესახებ წინასწარ აცნობა ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ანალოგიური შინაარსის წერილი გაგზავნილი იყო სსიპ-ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ წერილების მიხედვით შპს „ინტელექტ-პლუსში" სარემონტო სამუშაოების დასრულება 25 ოქტომბრისთვის იგეგმებოდა. 25 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა გადასვლა ერთი შენობიდან მეორეში. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტს 25 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე გამოცხადებული ჰქონდა არდადეგები და დირექტორის 07.11.2018 წლის N2/1 ბრძანებით განსაზღვრული იყო გაუთვალისწინებელი არდადეგების გამო გაცდენილი გაკვეთილების აღდგენის გრაფიკი.

ექსპერტის თქმით სკოლას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებითი სახის ხარვეზების არ გააჩნდა.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 9 საგნობრივი კათედრა. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, მშობლიური (რუსული) ენის კათედრა, უცხოური

(ინგლისური) ენის კათედრა, მათემატიკის კათედრა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა, საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა, დაწყებითი კლასების კათედრა, ესთეტიკური აღზრდის საგნების კათედრა და სპორტის კათედრა.

დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ჰქონდა კათედრების დებულება. რომელშიც გაწერილი იყო კათედრის წევრების ფუნქციები და მოვალეობები, დებულების მიზნები, საგნობრივი კათედრის სამუშაო გეგმა, კათედრის ვალდებულება სწავლა–სწავლების ხარისხის მართვის ნაწილში, კათედრებზე დამუშავებული იყო მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები და თემატური გეგმები. წარმოდგენილი თემატური გეგმების მიხედვით დაწესებულება გამოხატავდა მზაობას მოსწავლეებისთვის შეეთავაზებინა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები.

ექსპერტების თქმით დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა საგანში მომზადებული და გაწერილი ჰქონდა თემატური გეგმები პირველი სემესტრისათვის.
დაწესებულება, როგორც მისი მისიიდანაც იკვეთებოდა, ორიენტირებული იყო საქართველოს და სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ბავშვებზე, რომელთათვისაც რუსული ენა იყო მშობლიური და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მომსახურეობას უწევდა როგორც საქართველოს მოქალაქეებს, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საგნების მიხედვით. შერჩევით იქნა ნანახი ინდივიდუალური გეგმები ქართულ ენაში, რუსულ ენაში, და ისტორიაში.

ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რეკომენდაცია ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისას გაეთვალისწინებინათ ქართულის, როგორც უცხოური ენის სწავლების სპეციფიკა იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და რომელთათვისაც ქართული არ წარმოადგენდა მშობლიურ ენას. ასევე ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების სპეციფიკა იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და რომლებისთვისაც ქართული არ იყო მშობლიური ენა. ამასთან ქართულ ენაში მოსწავლეები დაეყოთ ენის ფლობის დონეების მიხედვით, რისთვისაც უნდა გაეწერათ პროგრამა შესაბამისი დონეების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.2. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით მატერიალურ რესურსთან მიმართებით სკოლას ასევე არ გააჩნდა ხარვეზები.

ექსპერტის თქმით შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსი", საჯარო რეესტრის 2018 წლის 07 აგვისტოს ამონაწერის მიხედვით მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გრიშაშვილის ქუჩა N51.-ში არსებულ 4683.00 კვ.მ.-ის მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებული იყო 2640 კვ.მ-ის შენობა ნაგებობები. ფართის მესაკუთრე იყო შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსი", რომელმაც შეიძინა ეს ფართი სახელმწიფოსგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით. სკოლის შენობა წარმოადგენდა ოთხსართულიან სასწავლო კორპუსს, რომლებშიც განთავსებული იყო ადმინისტრაციული, პერსონალის სამუშაო და საკლასო ოთახები, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი და სპორტული ოთახები.

ექსპერტის განცხადებით დაწესებულებას ჰქონდა საზიარო შესასვლელი სკოლის გვერდზე განთავსებული საცხოვრებელი სახლის ბინადრებთან, რომელიც სპორტული მოედნის მხარეს გადიოდა.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ საზიარო შესასვლელი პრობლემას წარმოადგენდა და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განმარტება.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით სკოლას ჰქონდა ცალკე მთავარი შესასვლელი და აღნიშნული შესასვლელი წარმოადგენდა სათადარიგო შესასვლელს. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე დაყენდა კამერები და გამოიყო პირი ვინც ამ კარს გააკონტროლებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხო არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს , რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.3. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით სკოლას ჰყავდა სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებული იყო 42 მასწავლებელი. სკოლის ძირითადი და დამხმარე პერსონალი იყო: დირექტორი, დირექტორის ორი მოადგილე, ბუღალტერი, სასწავლო ნაწილის გამგე, სასწავლო ნაწილის მენეჯერი, სკოლის ოფის-მენეჯერი, ორგანიზატორი, იურისტი, IT-მენეჯერი, ისტ-ის კაბინეტის გამგე, ექიმი, ლაბორანტი, ბიბლიოთეკის გამგე, ბიბლიოთეკარი და სხვ. სკოლას ჰყავდა

გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელ-მასწავლებლები და დამატებითი აღზრდის პედაგოგები.

სკოლის მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომრლებს უდასტურდებოდათ საქმიანობის შესაბამისი კვალიფიკაცია. სკოლაში დასაქმებული იყო 42 მასწავლებელი, მათგან 8 იყო უფროსი მასწავლებლი, ხოლო 4-ს არ ჰქონდა მინიჭებული სტატუსი. სკოლის დირექციის განმარტებით 3 მასწავლებლის დოკუმენტაცია უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გაგზავნილი იყო სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, როგორც სკოლა ინტელექტის მასწავლებლის. ერთი მასწავლებლის მდგომარეობა ბუნდოვანი იყო, რადგანაც რუსული, როგორც მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდას სსიპ-გამოცდების ეროვნული ცენტრის არ ატარებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 450 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ - პლიუსის (ს/კ:406243514) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450 - ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკიტხების განხილვის შემდეგ 18:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

მანანა რატიანი

მდივანი

თამილა ჩუბინიძე